

„ქართულ–ოსური სამშვიდობო ინიციატივა“

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“ საქართველოს საპატრიარქოს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს მეორე სამშვიდო პროექტს სახელწოდებით: „ქართულ–ოსური სამშვიდობო ინიციატივა“, რომელიც ეთნიკურად ქართველ და ოს ახალგაზრდებს აერთიანებს.

პროექტის ძირითადი ინტერვენციაა შეცვალოს დაპირისპირებულ საზოგადოებებს შორის დამოკიდებულება და განავითაროს მშვიდობის მშენებლობის ხედვა ახალგაზრდა თაობის აქტიური ჩართულობით.

პროექტი წლის მანძილზე დატვირთულია სხვადასხვა სამშვიდობო აქტივობებით:

- საჯარო სკოლებში კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მედიაციაში სესიების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობენ პროექტის ლიდერები, სადაც მოსწავლეებთან ერთად განიხილება კონფლიქტური სიტუაციები და მათი მართვის ხერხემა; ასევე, ხდება ფილმის ჩვენება კონფლიქტის თემატიკაზე, რომელსაც პროფესიონალი მოდერატორი უძღვება;
- ტრენინგი - „ტოლერანტობა და სასწავლო გარემო“ - ეთნიკურად ქართველ და ოს საჯარო სკოლის მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ თუ რა საბაზისო ცოდნაა საჭირო სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად, კონფლიქტების სამართავად და სასწავლო გარემოში თანასწორობისა და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად.

პროექტის ცენტრალურ აქტივობას წარმოადგენს ათდღიანი სპეციალური პროგრამით დატვირთული ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა (საზაფხულო ბანაკი) ქართველი და ოსი ახალგაზრდების მონაწილეობით. ბანაკში შექმნილი სიმღერის, ცეკვის, ხატვის, ხელსაქმის, დრამის, ჟურნალისტიკის და ენის შემსწავლელი სხვადასხვა წრეები (სექციები) ახალგაზრდებს საშუალებას აძლევთ გამოავლინონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები.

საზაფხულო ბანაკის პროგრამის მიხედვით განხორციელებული ყველა ღონისძიება, ეთნიკურ ჯგუფებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მოტივაციისა და უნარების განვითარებისკენ არის მიმართული, რომლებსაც ლიდერობასა და კონფლიქტების ტრანსფორმაციაში სპეციალური პროგრამით მომზადებული ახალგაზრდები (ლიდერები) წარმართავენ.

პროექტის ძირითადი მიზანია კვლავ აღვადგინოთ საუკუნეების მანძილზე ქართველებსა და ოსებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობები და ერთობლივი ძალისხმევით შევქმნათ მშვიდობიანი მომავალი.